# ხელშეკრულება № 42 ღᲑɾ 44221200

ქ. გორი 28 დეკემბერი 2011 წელი.

ერთის მხრივ, ს.ს.ი.პ №12 საჯარო სკოლა, მისი დირექტორის რუსუდან ლომიძის სახით, /შემდგომში „შემსყიდველი"/ და მეორე მხრივ, შპს „კომფორტი" – ს დირექტორის როლნდი დემეტრასვილი – ს სახით /შემდგომში "მომწოდებელი"/ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საფუძველზე, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს "შემსყიდველისათვის" "მომწოდებლის" ხის კარებების მიწოდება.

1.2. "შემსყიდველი" უკვეთავს, ხოლო "მომწოდებელი" იღებს ვალდებულებას, მოთხოვნისამებრ უზრუნველყოს "შემსყიდველი" ზემოთ აღნიშნული მომსახურებით.

## 2. საქონლის მიწოდების (მომსახურების გაწევის) წესი, ვადები და ღირებულება

2 წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის წლიური თანხა განისაზღვროს 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარით. (ლარებში).

## 3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1 ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით,

3.2 მიწოდებული მომსახურეობის თანხის გადახდა იწარმოებს წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებისა ან მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე .

## 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. "შემსყიდველი" ვალდებულია სამუშაოს შესრულებისთანავე ეტაპობრივად გადაუხადოს "მომწოდებელს" კუთვნილი თანხა.

4.2. "მომწოდებელი" ვალდებულია, გაუწიოს ხარისხიანი და ოპერატიული მომსახურება "შემსყიდველს".

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. მხარეები პასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 6. ხელშეკრულების პირობები ინსპექტირდება

6.1. "შემსყიდველის" წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოსკონტროლი "მომწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე

## 7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან (15. 12. 2011 წელი) და მოქმედებს 2012 წლის 15 იანვრის ჩათვლით.

## 8. ზოგადი დებულებები

8.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები და ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

8.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილი იქნეს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

8.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივე ტექსტს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

## 9. ფორს – მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მენარდეს შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალის-წინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლე-ნებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა

9.3 „ფორს-მაჟორული" გარემოების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდემდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილებისა და შესაძლებლობის და მოხედვით აგრძელებ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულების შესრულებას და ცდილობს, გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 10. დავათა განხილვის წესი

10.1 მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები იმ შემთხვევაში თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას განიხილება სასამართლოს მიერ.

## 11. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი„

ს ს ი პ გორის №12 სკოლა

მისამართი: ნინოშვილის ქ. №54

სკოლის დირექტორი: რუსუდან ლომიძე

ბანკის რეკვიზიტები

საიდენტიფიკაციო კოდი 218016769 სს

„ლიბერთი ბანკი" გორის ფილიალი

სს „ლიბერთი ბანკი" გორის ფილიალი

ანგარიშის № GE82LB0121141252767000

ბანკის კოდი LBRTGE22

საკონტაქტო ნომერი 7-33-68

ხელმოწერა ________________

ბეჭედი:

„მომწოდებელი„

შპს „კომფორტი'

მისამართი: გორი პუშკინის ქ. № 2

დირექტორი: როლანდი დემეტრაშვილი

ბანკის რეკვიზიტები

საიდენტიფიკაციო კოდი: 417873796

სს „პროკრედიტ ბანკი" გორის ფილიალი

ანგარიშის № GE20PC0143600100030118

ბანკის კოდი MIBGGE 22

საკონტაქტო ნომერი:

ხელმოწერა: ________________

ბეჭედი: